

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 13 იანვრის №4/01-01 ბრძანების საფუძველზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 19 თებერვლის №8/2026 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი #1

ქ. თბილისი

2 მარტი 2026, 13:00 საათი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 13 იანვრის №4/01-01 ბრძანების საფუძველზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის შემოვიდა ერთი განაცხადი ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრაზე; თსუ აკადემიური საბჭოს 2026 წლის 19 თებერვლის #8/2026 დადგენილების საფუძველზე შექმნილ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას.

კომისიის შემაჯამებელ სხდომას ესწრებოდა კომისიის სრული შემადგენლობა:

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი: 1. პროფ. ზურაბ სეფერთელაძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფ. ლია მაჭავარიანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოც. პროფ. ლამზირა ლალიძე (კომისიის მდივანი); 4. ასოც. პროფ. გიორგი ბრეგვაძე.

დღისწესრიგი:

საკითხი 1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტში ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრაზე, ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

საკითხი 2

კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარის პროფ. ზურაბ სეფერთელაძის შემაჯამებელი ინფორმაცია, კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ, კონკურსის I ეტაპზე შემოწმდა და შეფასდა საკონკურსო დოკუმენტაცია ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრის კონკურსანტის

ვაჟა ტრაპაიძის მიერ წარმოდგენილ ანკეტაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4).
ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრის კონკურსანტის ვაჟა ტრაპაიძის შეფასება:

შეფასების I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს”.

შეფასების II კატეგორიაში “პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“ მოცემული მონაცემების საფუძველზე (კონკურსანტის პედაგოგიური მოღვაწეობა, თსუ-ში წაკითხული კურსები, სასწავლო-მეთოდური პუბლიკაციები, სილაბუსები და სხვ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

შეფასების III კატეგორიაში “სამეცნიერო-კვლევითისაქმიანობა“ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, საერთაშორისო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.), კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

კონკურსანტის მიერ კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა როგორც სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო ნაშრომი. კონკურსანტი თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (პროექტებში მონაწილეობა, მივლინება/სტიპენდია/სტაჟირება) და სხვ.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია ნათლად ასახავს კონკურსანტის ხედვას მიმართულების განვითარებაში, მის უშუალო წვლილს სასწავლო-სამეცნიერო პროცესის ხელშეწყობაში, გამოცდილებას, ასევე სტუდენტთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვ. გამოიკვეთა კონკურსანტის უშუალო ჩართულობა და თაოსნობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე როგორც კვლევით, ისე საგანმანათლებლო პროცესებში.

შეფასების IV კატეგორიაში “კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა“ წარმოდგენილი ჩამონათვალის საფუძველზე, როგორცაა: საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის "ეკოლოგია" ხელმძღვანელი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი; მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესაფასებლად; სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელი; სტუდენტთა ხელმძღვანელი სამეცნიერო კონფერენციებზე; სტუდენტური პროექტების ხელმძღვანელი; მაგისტრატურაში მისაღები საგამოცდო კომისიის წევრი; სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი; სახელმძღვანელოების/მონოგრაფიების რედაქტორი; დარგობრივი საბჭოების, საზოგადოებებისა და კომისიების წევრი; საორგანიზაციო სამეცნიერო კომიტეტების წევრი; თსუ საკონკურსო და სააპელაციო კომისიების (დამხმ. პერსონალი,

აკადემიური პერსონალი) წევრი; საექსპერტო საკონსულტაციო/კომისიების წევრი; გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების პროექტების მონაწილე და მრავალი სხვა, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

კონკურსანტი ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს MS Word, MS Excel, MS Power Point, ასევე ინგლისურ და რუსულ ენებს.

შეფასების IV კატეგორიაში კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “მაღალი”.

კონკურსანტი გადაყვანილ იქნა მეორე ეტაპზე, გასაუბრება დაინიშნა 27 თებერვალს 13.00 სთ-ზე.

გასაუბრებისას კომისიის მიერ დასმული კითხვები ეხებოდა როგორც სამეცნიერო თემატიკას, ისე სასწავლო საქმიანობას:

- პირველი კითხვა ეხებოდა კლიმატის ცვლილების მიმდინარე ტენდენციების გავლენას მდინარეთა ჩამონადენზე და კვლევის შედეგებს ამ მიმართულებით.

კონკურსანტმა ამ საკითხის ირგვლივ მიმოიხილა მრავალი საინტერესო ნაშრომი და აღნიშნა, რომ მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ კლიმატის ცვლილება გავლენას მოახდენს არა საშუალო წლიურ ჩამონადენზე, არამედ ჩამონადენის შიდა წლიურ განაწილებაზე. გაიზრდება ექსტრემალური ჩამონადენი (მაქსიმალური და მინიმალური) და წლიური ჩამონადენის ნორმა დაახლოებით იგივე დარჩება. ბუნებრივია არსებობს გამონაკლისები.

- კითხვა ეხებოდა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებს და იქ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის კვლევებს.

კონკურსანტმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო ნაშრომების ძირითადი ნაწილის თემატიკა ეხება, როგორც საზღვაო და სანაპირო პროცესებს, ჰიდროსტიქიურ პროცესებსა და მის მაპროვოცირებელი ფაქტორების ანალიზს, ისე ჰიდროსისტემების ხარისხობრივ მდგომარეობას, წყლის რესურსების ტერიტორიულ გადანაწილებას და სხვ. ვრცლად ისაუბრა კვლევის შედეგებზე და აღნიშნა, რომ კვლევების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია სავსე კვლევების, მათ შორის საზღვაო ექსპედიციების ჩატარება, რომლის განხორციელებაც კონკურსანტის საერთაშორისო პროექტ „BRIDGE-BS“, ჩართულობით გახდა შესაძლებელი.

- შემდეგი კითხვა ეხებოდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, კერძოდ კონკურსანტის აქტიურ ჩართულობას საბაკალავრო („ეკოლოგია“, „გეოგრაფია“) და სამაგისტრო („წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა“, „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“) პროგრამების განხორციელებაში, და ამ პროგრამების ძლიერი მხარეებისა და გაუმჯობესების გზების დაგეგმვას.

კონკურსანტმა აღნიშნა, რომ გარემოს შემსწავლელი მეცნიერებების განვითარება მნიშვნელოვანია და მიესალმება აღნიშნული პროგრამების პოპულარობას. მიმოიხილა პროგრამის ძლიერი მხარეები, ადამიანური რესურსები, ინტერნაციონალიზაციის ფართო შესაძლებლობები, დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, სწავლა-სწავლების მოქნილი სისტემა და სხვ. აგრეთვე, ისურვა პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტის კიდევ უფრო გაძლიერება.

- შემდეგი კითხვა ეხებოდა კონკურსანტის საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მუშაობის საკმაოდ დიდ გამოცდილებას და ამ კუთხით საქმიანობის გაგრძელებას.

კონკურსანტმა მოკლედ ისაუბრა შესრულებულ საგრანტო პროექტებზე და აღნიშნა, რომ ნებისმიერი მეცნიერისათვის საგრანტო პროექტებში მონაწილეობა დიდ გამოცდილებას იძლევა და მნიშვნელოვანი სტიმულია პროფესიული წინსვლისათვის, რადგან შესაძლებლობა გეძლევს დარგში უახლესი კვლევების გაცნობის, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენების, სამეცნიერო კონტაქტების გაფართოების და სხვა. კოლეგებთან ერთად აქტიურად განაგრძობ, თსუ-ს სახელით, საპროექტო წინადადებების მომზადებაში მონაწილეობას ახალი საგრანტო შესაძლებლობის მოსაზიდად.

გასაუბრებისას კონკურსანტმა ვაჟა ტრაპაიძემ გამოავლინა სამეცნიერო და საგანმანათლებლო საკითხების ღრმა ხედვა. მაღალი სამეცნიერო ერუდიცია და პროფესიონალიზმი, ჰიდროლოგიური საკითხების სიღრმისეული ცოდნა, დარგის თანამედროვე ტენდენციების, სტიქიური მოვლენების შეფასების, სასწავლო პროცესის რეგულაციებისა და სხვა საკითხების ცოდნა. კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა და სხვ. შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და კომისიის შეხედულებით, იგი ღირსეული კანდიდატურაა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტში ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად, ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით, კომისიის ოთხივე წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, გეოგრაფიის დეპარტამენტში ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრის, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ვაჟა ტრაპაიძის კანდიდატურის გამარჯვებულად გამოვლენას.


დასაბუთება: ვაჟა ტრაპაიძე არის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი - ჰიდროლოგი, აქვს თსუ-ში მუშაობის 20 წლის გამოცდილება, აღნიშნული პროფილით გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები მაღალი რეიტინგის ჟურნალებში, არის სახელმძღვანელოების ავტორი/თანაავტორი, მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ფორუმებში, მჭიდრო კონტაქტი აქვს დარგში მოღვაწე საერთაშორისოდ აღიარებულ ექსპერტებთან, არის საერთაშორისო და შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტების ძირითადი შემსრულებელი; საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო პროგრამა „ეკოლოგია“) ხელმძღვანელი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი; მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესაფასებლად); სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი; მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელი; სტუდენტთა ხელმძღვანელი სამეცნიერო კონფერენციებზე; სტუდენტური პროექტების ხელმძღვანელი; მაგისტრატურაში მისაღები საგამოცდო კომისიის წევრი; სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი; სახელმძღვანელოების/მონოგრაფიების რედაქტორი; დარგობრივი საბჭოების, საორგანიზაციო სამეცნიერო კომიტეტების წევრი; საექსპერტო კომისიების წევრი; თსუ საკონკურსო და სააპელაციო კომისიების (ადმ. დამხმ. პერსონალი, აკადემიური პერსონალი) წევრი; ასრულებს სხვადასხვა ტიპის საკონსულტაციო/საექსპერტო საქმიანობას და სხვ.

კონკურსანტ ვაჟა ტრაპაიძის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში მიღებული გამოცდილება და პროფესიული უნარები სრულიად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

ერთხმად დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის დეპარტამენტის, ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის I და II ეტაპების შეჯამებისა და ფარული კენჭისყრის ბიულეტენების დათვლის შედეგად (4 ხმა დადებითი, წინააღმდეგი 0), გამარჯვებულად გამოცხადდეს ვაჟა ტრაპაიძე.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ და გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრები:

1. ზურაბ სეფერთელაძე (კომისიის თავმჯდომარე) 
2. ლია მაჭავარიანი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) 
3. ლამზირა ლალიძე (კომისიის მდივანი) 
4. გიორგი ბრეგვაძე (კომისიის წევრი) 